ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის „ “ მარტი, ქალაქი ბათუმი

საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცე მის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საზოგადოებრივი სივრცის გარე ვაჭრობისათვის, ასევე რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე სივრცის მაგიდის და სხვა ნივთის (მათ შორის I კლასის ობიექტის) განლაგებისათვის, რომელზეც მომსახურების გაწევა ხდება არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან, საზოგადოებრივი სივრცე(ები) პირდაპირი განკარგვის წესით გასცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესითა და სხვა მოქმედი აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა დაადგინოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის საფასური, დანართის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

„საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემას ახდენს აღმასრულებელი ორგანო, პირდაპირი განკარგვისას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესები“-ს 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს უნდა მიეცეს თანხმობა გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის პირდაპირი განკარგცის წესით სარგებლობის უფლებით გაცემასა და გაცემის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ა.ა) პროექტის მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღება ხელს შეუწყობს ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში (ტროტუარი და სხვა) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემის მოწესრიგებას, მეწარმეობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

ა.ბ.) პროექტის ძირითადი არსი:

საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა.

ბ) პროექტის ფინანსური მხარე:

განკარგულების მიღება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების ზრდას.

გ) პროექტის შესაბამისობა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცე მის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

დანართი
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის _____ მარტის
№_____ განკარგულების

საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის საფასური

საზოგადოებრივი სივრცის მდებარეობა ზონის მიხედვით	დაკავებული ტერიტორია	თვიური საფასური
1-ლი ზონა	1,0 კვ.მ.	30,0 ლარი
მე-2 ზონა	1,0 კვ.მ.	25,0 ლარი
მე-3 ზონა	1,0 კვ.მ.	15,0 ლარი
მე-4 ზონა	1,0 კვ.მ.	20,0 ლარი
მე-5 ზონა (1-ლი - მე-4 ზონის გარდა სხვა ტერიტორია)	1,0 კვ.მ.	10,0 ლარი
სწრაფი ჩარიცხვისა და მსგავსი ტიპის აპარატებისათვის 1 კვმ-მდე საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის თვიური საფასური ყველა ზონისათვის განისაზღვრება 30,0 ლარით (ერთი ერთეული აპარატი).		


1
2
3
4
5